

EthicCapital-ის ცნობის ფურცელი

საკრედიტო კავშირი

სიახლეები

პარტნიორები

EthicCapital -ი პარტნიორებთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ავსტრიული ორგანიზაცია „ჰერმეს“-ი (HERMES-Österreich), ის ორგანიზაციაა, რომელიც **EthicCapital** -ს დაარსების დღიდან უდგას მხარში და დიდი წვლილი მიუძღვის მის განვითარებაში. საკრედიტო კავშირის თანამშრომლები „ჰერმეს“-ს ავსტრიაში მივლინების დროს სტუმრობდნენ. მის საქმიანობას ადგილზე გაეცნენ და ორგანიზაციის მყუდრო ოფისიც დაათვალიერეს.

EthicCapital -ი მადლობას უხდის ქალბატონ ბიცნერსა და ბატონ ჰიჩს გულთბილი მასპინძლობისა და სამომავლო თანადგომის მზაობისთვის!



EthicCapital –ის თანამშრომლები „ჰერმეს“-ის ოფისში

ძვირფასო მეგობრებო,

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ წლის მიწურული ყველაზე სენტიმენტალური, მოგონებებით და ასოციაციებით სავსე პერიოდია. ის დროა, როცა ყველა ცოტა ხნით ბავშვობაში ვბრუნდებით და გარშემო ყველაფერი უფრო ფერადი და ნათელია. თითქოს შობა-ახალი წლის მოლოდინი ერთგვარი კათარზისის და ხელახლა დაბადების შანსს გვაძლევს, მაღლიერების გრძნობას გვიმძაფრებს და იმედს გვმატებს.

ჩვენც გვინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ გაწეული თანადგომისთვის, ვისურვოთ, რომ კიდევ მრავალი წელი შევძლოთ ერთმანეთის მიმართ მაღლიერებისა და კეთილი სურვილების გამოხატვა, თვითოეული ჩვენთაგანის და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის!

აქტუალური რიცხვები

მსესხებელი სულ: 38

სესხად გაცემული თანხა

სულ:

201 490 GEL / 86 106 EUR

წევრები: 115

საკუთარი კაპიტალი:

36 910 GEL / EUR 15 774

ანაბარი 2 წევრისგან სულ:

450 EUR

სესხად მიღებული თანხა

სულ:

174 870 GEL / 74 730 EUR

წევრები

გასული წლის ამ დროს საკრედიტო კავშირი 75 წევრს ითვლიდა. ახლა უკვე 115 წევრი გვყავს. ამგვარი მატება, რა თქმა უნდა ძალიან გვახარებს, მითუმეტეს, რომ კოოპერატივის განვითარებისთვის ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება **EthicCapital** -ში!

საკრედიტო საქმიანობა

წლის დასაწყისიდან საკრედიტო კავშირმა 31 სესხად 150 327 ლარი გასცა. მათ შორის:

- ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა — 16 სესხი
- ბიო-პროდუქცია, მდგრადი განვითარება — 6 სესხი
- სოციალური სფერო — 4 სესხი
- განათლება და კულტურა — 5 სესხი

გაცემული სესხების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას 2014 წლის პირველ კვარტალში წლიურ ანგარიშის სახით მოგაწვდით.

ჩვენი ახალსახლობა

EthicCapital -ი ახალ წელს ახალ ოფისში შეხვდება. ჩვენმა პარტნიორმა, ბაზელის თავისუფალმა სათემო ბანკმა, საკრედიტო კავშირის დამფუძნებელ ორგანიზაცია **EthicFinance**-ს, საჭირო თანხის გამოყოფით, შესაფერისი ფართის შეძენის შესაძლებლობა მისცა, რომლის გარკვეული ნაწილიც სარგებლობაში **EthicCapital** -ს გადაეცა.

საკრედიტო კავშირის გუნდს ახარებს ახალსახლობა, მაღლობას უხდის ბაზელის თავისუფალ სათემო ბანკს თანადგომისთვის და იმედოვნებს, რომ ახალი ოფისი საკრედიტო კავშირის მრავალი ახალი წარმატების და წინსვლის მომსწრე გახდება.

ერთად გადავხედოთ 2013 წელს

ვფიქრობთ, 2013 წელი **EthicCapital** -ისთვის წარმატებული, თუმცა, გარკვეული სირთულეების მომცველიც იყო.

წლის ძირითად გამოწვევას საკუთარი კაპიტალის გაზრდა წარმოადგენდა, იმისათვის, რომ საკრედიტო კავშირის საქმიანობას საფრთხე არ შექმნოდა.

EthicCapital -ი სესხს საფინანსო ინსტიტუტებიდან სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში იღებს და თავის მხრივ ლარში გასცემს. ლარის გაუფასურება კი ტვირთად აწვება საკუთარ კაპიტალს და მის ქვოტას ამცირებს. საქართველოს ეროვნული ბანკისგან საკრედიტო კავშირმა ორი შეტყობინება მიიღო, რომლებიც საკუთარი კაპიტალის გაზრდის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ.

განსაკუთრებული თანადგომა, ჩვენი საქმიანობის ძირითადი სირთულის დაძლევის საქმეში ბაზელის თავისუფალმა სათემო ბანკმა გაგვიწია და სოლიდური შემოწირულობით საკრედიტო კავშირის საკუთარი კაპიტალი აუცილებელ ზღვრამდე გაზარდა.

ჩვენს უცხოელ, ერთგულ პარტნიორებს ახალი ორგანიზაცია, ჰამბურგის არაკომერციული სამეურვეო კავშირი შეემატა.

წლებანდელი წელი ახალი წევრების მნიშვნელოვანი ნამატითაც არის აღსანიშნავი, რაც დიდწილად საკრედიტო კავშირის წევრების და ჩვენი საქმიანობის გულშემატკივრების დამსახურებაა.

კოოპერატივის წევრებისა და მეგობრების შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით შემუშავდა **EthicCapital** –ის წევრობის მოწმობა, რომელსაც ყველა წევრი უახლოეს მომავალში მიიღებს.

საკრედიტო კავშირის 2013 წლამდე საკუთარი კადრები არ ჰყავდა. მას **EthicFinance**-ის თანამშრომლები ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდნენ. წელს **EthicCapital** –მა ორი შტატი დაუშვა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერატივის ერთ-ერთი თანამშრომელი, ნათია ვაშაკიძე საკრედიტო კავშირის უშუალო მხარდაჭერით საბანკო საქმის შესწავლას გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ უნივერსიტეტ “Alanus Hochschule“-ში აგრძელებს. მოხარულები ვართ, რომ მალე კიდევ ერთი მაღალკვალიფიციური თანამშრომელი გვეყოლება.

კონტაქტი:

დიმიტრი ბაქრაძის ქუჩა 19,

II სადარბაზო, II სართული

0179 თბილისი

საქართველო

ტელ: (+995) 599 536951

(დროებითი ნომერი)

info@ethiccapital.eu

www.ethiccapital.eu

მზერა მომავლისკენ

საკრედიტო კავშირის მომავალი წლის ძირითად გამოწვევა, ისევე როგორც 2013 წელში, საკუთარი კაპიტალის გამყარების გზებისა და საშუალებების ძიება იქნება.

EthicCapital-ი 2014 წელს პროგრამას განახორციელებს, რომელიც მსესხებლებს ბიზნეს გეგმის შემუშავებაში დაეხმარება. ეს საკრედიტო კავშირის წევრს კვალიფიციური საკრედიტო განაცხადის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს და დაფინანსებული პროექტის წარმატებულობის შანსსაც გაზრდის.

EthicCapital-ის მიერ გაცემული სესხების ძირითადი ნაწილი რეგიონალურ და ბიოლოგიურად სუფთა მეურნეობაზე მოდის. კოოპერატივის წევრების პროდუქციისთვის გარანტირებული გასაღების ადგილის შესაქმნელად საკრედიტო კავშირის დამაარსებელი ორგანიზაცია, **EthicFinance**-ი თბილისის ვალდორფის სკოლის ტერიტორიაზე, მომავალი წლის სექტემბრისთვის მაღაზიის გახსნას გეგმავს. **EthicCapital**-ის ახალმა წევრმა შვეიცარიიდან შენობის პროექტი უკვე შექმნა, ბიზნეს გეგმა, საჭირო ფინანსების მოსაძიებლად ფონდებს გადაეგზავნება.

ძვირფასო მეგობრებო, თქვენი ნებისმიერი სახის მხარდაჭერა სასიკეთოდ წაადგება ამ საშურ საქმეს!

და ბოლოს...

....კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველა ჩვენს პარტნიორს, წევრს და თანამშრომელს!

ყველას ბედნიერ შობა-ახალ წელს, წარმატებულ 2014 -ს გისურვებთ!